

## განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზია „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ 2007 წლის 22 ნოემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ახლებურად აწესრიგებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესსა და საარჩევნო სუბიექტების არჩევნებში მონაწილეობის პირობებს. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში განსახილველად შესულია საქართველოს კონსტიტუციური კანონპროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლითაც იცვლება მაჟორიტარული სისტემა რეგიონული პროპორციული სისტემით, არჩევნებში მონაწილეობის მიღების პირობები, მანდატების განაწილების წესი, რაც თავის მხრივ იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა.

ვინაიდან ჯერ კიდევ უცნობია საბოლოოდ როგორ აისახება საქართველოს საარჩევნო კოდექსში საარჩევნო სისტემისა და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესი, ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების განხორციელება საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების, საარჩევნო სისტემის, საარჩევნო ბარიერისა და არჩევნებში მონაწილეობის პირობებთან დაკავშირებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესიისათვის ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით სრულყოფილი და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის მომზადება.

**ა.გ) კანონპროექტის არსი**

კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე, ნაცვლად უმაღლესი საბჭოს 2007 წლის საშემოდგომო სესიისა, 2008 წლის საგაზაფხულო სესიაზე განსახილველად მომზადებულ იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე“ კანონის პროექტი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობისადმი**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;**

აღნიშნული კანონპროექტი მომზადებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციების საფუძველზე.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.